

**საწევრო გადასახადი ძიუდოს ფედერაციის მიერ
ორგანიზებულ ღონისძიებაში (შეჯიბრება, შეკრება, სემინარი,
გამოცდები და სხვა) მონაწილეობის მისაღებად**

საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში (შეჯიბრება, შეკრება, სემინარი და სხვა)

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის მიერ მიღებული დებულების შესაბამისად 2024 წლიდან ბავშვებში გასამართი ტურნირების ორგანიზებას მოახდენს მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია - მის მიერ წინასწარ შედგენილი კალენდრისა და საშეჯიბრო წესების შესაბამისად.

ამ დებულებით ავტომატურად უქმდება მანამდე არსებული შეჯიბრების ორგანიზატორებისათვის გადასახდელი ე.წ. „სასტარტო შენატანი“

ნაცვლად სასტარტო გადასახადისა დგინდება ერთჯერადი ე.წ. საწევრო შენატანი, რომლის ოდენობა განისაზღვრება **100 (ასი) ლარით**.

საწევრო შენატანი არის წლის განმავლობაში ერთჯერადად გადასახდელი თანხა, რომელიც საშუალებას მისცემს გადამხდელს შეუზღუდავად მიიღოს მონაწილეობა მთელი წლის მანძილზე ძიუდოს ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

